15 მარტს...

... თბილისში დანიშნულია სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ამხანაგური მატჩი. ნაკრების შემადგენლობაში არ იქნებიან კიეველი ფეხბურთელები, რომლებიც ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში არიან და მიუნხენის "ბაიერნთან" განმეორებითი შეხვედრისთვის ემზადებიან. მათ იქ მეორე მატჩი წააგეს სლოვაკიის ეროვნული ლიგის გუნდთან – შალიას "დუსლოსთან" ანგარიშით 0:1. საბჭოთა ნაკრებში თბილისელთაგან მიწვეული არიან დ. ყიფიანი და შ. ხინჩაგაშვილი. თბილისის დინამოელებმა საგაზაფხულო სასწავლო–საწვრთთნელი შეკრება დაამთავრეს აფხაზეთში, აქ მათ ბოლო მატჩი გამართეს ალმაათის "ქაირათთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, გოლი გაიტანა გუცაევმა.

”ლელო” 13 მარტი 1977 წ.